 სსიპ კოლეჯი “ახალი ტალღა”

07/03/2025

MES 8 25 0001-04/41

ბრძანება №01-04/41
სსიპ კოლეჯ „ახალ ტალღაში“ 2025 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე რეგისტრაციის მიზნით აპლიკანტთა რეგისტრაციის ვადის დადგენისა და აპლიკანტთა რეგისტრაციისა და მიღემის მიზნით მიმღები კომისის განსაზღვრის შესახებ

„პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესის და პირობების შესახებ“ საქართველოს განათლების და მეცნიერებისა მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანების, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 04 მარტის N232417 ბრძანების, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს 2025 წლის 05 მარტის N237297 წერილის, „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის კოლეჯის წესდების მე-5 მუხლის „ი“ პუნქტის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სსიპ კოლეჯ „ახალ ტალღაში“ 2025 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე რეგისტრაციის მიზნით, აპლიკანტთა რეგისტრაციის ვადა დადგინდეს 2025 წლის 28 აპრილიდან 2025 წლის 20 მაისის ჩათვლით.
2. ამ მიზნით ბრძანებაზე კონტროლი და შესაბამისი ღონისძიებების გატარება დაევალოს ელექტრონული საინფორმაციო სისტემების მართვის კოორდინატორ ქალბატონ ნელი ღუდუშაურს;
3. სსიპ კოლეჯ ,,ახალ ტალღაში“ 2025 წლის მიღებაზე აპლიკანტთა რეგისტრაციისა და მიღემის მიზნით განისაზღვროს კომისია შემდეგი შემადგენლობით:

კომისიის თავმჯდომარე თეონა მენაფირე (ადმინისტრაციის ხელმძღვანელი);
კომისიის თავმჯდომარის მოადგილე - ნატო შაქარიშვილი (სტუდენტების/მსმენელების საქმისწარმოების სპეციალისტი);
კომისიის წევრები:
ლიუზა რომანაძე (სტუდენტური სერვისებისა და კარიერის მართვის მენეჯერი);
ნელი ღუდუშაური (ელექტრონული საინფორმაციო სისტემების მართვის კოორდინატორი);
ირმა ვერულიძე (ელექტრონული საინფორმაციო სისტემების მართვის სპეციალისტი);
ლია დოლიძე (ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი შტატგარეშე თანამშრომელი);

4. ბრძანებაზე კონტროლი და შესაბამისი ღონისძიებების გატარება ასევე დაევალოს დირექტორის მოადგილე კახა ბოლქვაძეს, სასწავლო პროცესის მენეჯერ ქალბატონ ნატო რომანაძეს, ხულოს მისამართზე სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მენეჯერ ქალბატონ ნინო გრძელიძეს, სასწავლო პროცესისა და სტუდენტური სერვისების სპეციალისტ ქალბატონ გულნარა ლაბაძეს;
5. დაევალოს კოლეჯის ინფორმაციული ტექნოლოგიების ქსელის ადმინისტრატორ ბატონ დენის ლადიგინს საჯაროობის მიზნით ბრძანების განთავსება კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზე;
6. ბრძანების გასაჩივრება შეიძლება მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში. მისამართი: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქუჩა №30;
7. ბრძანება ამოქმედდედ ხელმოწერისთანავე.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის სამინისტრო/
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები/
სსიპ კოლეჯი "ახალი ტალღა"/
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
მეგრელიძე ირმა